საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N143 2005 წლის 18 აგვისტო ქ. თბილისი

გარდამავალი პერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის თანახმად:

1. დამტკიცდეს გარდამავალი პერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ ნებართვების გაცემის თანდართული წესები და პირობები.

2. ამ დადგენილების გამოცემამდე ნებართვის მისაღებად წარდგენილ განცხადებებზე ნებართვა გაიცემა დადგენილების ძალაში შესვლამდე აღნიშნულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი *ზურაბ ნოღაიდელი*

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2005 წლის 18 აგვისტოს
N 143 დადგენილებით

გარდამავალი პერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ ნებართვების გაცემის წესები და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესები არეგულირებს გარდამავალი პერიოდისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემ-დებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტს და ფიტო-სანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვების გაცემასთან

დაკავშირებულ ურთიერთობებს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოსა და ნებართვის მაძიებელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია – ყველა სახის ცხოველები, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და ნედლეული, ცხოველთა საკვები, საკვებდა-ნამატები, ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურფარმაცევტული პრეპარატები.

2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცე-ნარეული წარმოშობის პროდუქცია – ფიტოსანიტარიულ კარან-ტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება.

3. ცხოველთა საკვები – საწარმოო წესით მიღებული ცხოველთა საკვები.

4. საკვებდანამატები – ბუნებრივი ან სინთეზირებული ნივთიერებები, ნაერთები, რომლებიც გამიზნულად შეაქვთ ცხოველთა საკვებში მათი ორგანოლეპტიკური თვისებების გასაუმჯობესებლად ან შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად.

5. ცხოველური წარმოშობის პროდუქტები – დაკლული ცხოველებისაგან მიღებული ყველა სახის საკვები პროდუქტნედლეული: ხორცი, ხორცპროდუქტები, საწარმოო წესით მიღებული ძეხვეული და კონსერვები, სუბპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ფრინველის ხორცი და კვერცხი, თევზი და თევზეული, თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები.

მუხლი 3. სანებართვო საქმიანობის სახეები *(17.12.2007 N279)*

სანებართვო საქმიანობის სახეებია:

ა) ვეტერინარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქ-ციის ტრანზიტი (ნებართვა გაიცემა N1 დანართით განსაზღვ-რულ სახელმწიფო ვეტერინარიულ კონტროლს დაქვემდება-რებულ ობიექტებზე);

ბ) ვეტერინარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქ-ციის იმპორტი (ნებართვა გაიცემა N2 დანართით განსაზღვრულ სახელმწიფო ვეტერინარიულ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტებზე);

გ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცე-ნა-რეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტი (ნებართვა გაიცემა N3 დანართით განსაზღვრულ სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებულ ობიექტებზე).

მუხლი 4. ნებართვის გამცემი ორგანო *(16.08.2007 N168)*

ვეტერინარულ კონტროლს დაქვედებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვისა და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმო-შობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს სოფლის მეურნეობის

სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.

მუხლი 5. ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთები

1. ნებართვის მისაღებად წარსადგენი ძირითადი დოკუ-მენტაცია და პირობები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცე-ნარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადება უნდა შეიცავდეს აგრეთვე ექსპორტიორი ქვეყნისა და შემოსატანი ტვირთის დასახელებას, რაოდენობას, მოძრაობის მარშრუტს, მისი მიღების ადგილს, ხოლო ეტაპო-ბრივად შემოტანის შემთხვევაში – თითოეული პარტიის რაოდენობასა და შემოტანის ვადას.

3. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადებას აგრეთვე უნდა ერთვოდეს საბუთი პროდუქციის სახეობის, რაოდენობის, იმპორტიორი ან სატრანზიტო ქვეყნისა და ტრანსპორტირების მარშრუტის შესახებ, ხოლო ბიოლოგიური და სამკურნალო პრეპარატების იმპორტისას – სარეგისტრაციო მოწმობა.

4. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების იმპორტსა და ტრანზიტზე იმ ქვეყნებიდან, რომლებიც, საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროს მონაცემებით, ითვლებიან კეთილსაიმედოდ საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარიული კოდექსით გათვალისწინებული დაავადებების მიმართ, ნებართვა გაიცემა ექსპორტიორი ქვეყნის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის მიერ საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარიული კოდექსით დადგენილი ნიმუშის ვეტერინარული სერტიფიკატის წარდგენის საფუძველზე.

5. საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროს მონაცემების საფუძველზე საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული იმ ქვეყნებიდან, სადაც გამოვლინდა საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარიული კოდექსით გათვალისწინებული დაავადებები, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვა გაიცემა ვეტერინარული ან/და ვეტერინარულ-სანიტარიული სერტიფიკატის საფუძველზე მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორის მიერ მათი დამზადების ადგილზე გაწეული კონტროლის შედეგების მიხედვით.

6. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ტრანზიტის ნებართვა შესაძლებელია გაიცეს ექსპორტიორ ქვეყანაში ვეტერინარი ინსპექტორის მივლინების გარეშე, თუ ტვირთის კონკრეტული პარტიის გარანტირებულ მიღებაზე არსებობს მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის წერილობითი თანხმობა.

7. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუ-როს მიერ საქართველო აღიარებულ იქნა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების მიმართ არაკეთილსაიმედოდ, საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნის საფუძველზე იკრძალება ვეტერინარიულ კონტროლს დაქვემ-დებარებული შესაბამისი ტვირთის ტრანზიტი. *(17.12.2007 N279)*

მუხლი 6. ნებართვის გაცემის წესი

ნებართვის გამცემი ორგანო ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

მუხლი 7. ნებართვის ამოქმედება და მოქმედების ვადა

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვა გაიცემა ერთი თვის ვადით.

2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაიცემა სულ ბევრი ექვსი თვის ვადით.

მუხლი 8. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი

სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი ხორციელ-დება "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქარ-თველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება

პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმება ხორციელდება "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 10. სანებართვო რეესტრი

ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აწარმოოს უწყებრივი სანებართვო რეესტრი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად.

დანართი N1 *(17.12.2007 N279)*

სეს ესნ კოდი	**დასახელება**
1	**2**
01 ჯგუფი	**ცოცხალი ცხოველები**
0101	ცხენი, ვირი, ჯორი და ჯორცხენა
0102	მსხვილფეხა პირუტყვი
0103	ღორი
0104	ცხვარი და თხა
0105	შინაური ფრინველი ანუ Gალლუს დომესტიცუს (შინაური ქათამი) სახეობის ფრინველები, იხვი, ბატი, ინდაური, ციცარი
0106	სხვა ცხოველები
02 ჯგუფი	**ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები**
0201	ხორცი მსხვილფეხა პირუტყვის, ახალი ან შეყინული

0202	ხორცი მსხვილფეხა პირუტყვის, გაყინული
0203	ხორცი ღორის, ახალი, შეყინული ან გაყინული
0204	ხორცი ცხვრის ან თხის, ახალი, შეყინული ან გაყინული
0205	ხორცი ცხენის, ვირის, ჯორის ან ჯორცხენის, ახალი, შე-ყინული და გაყინული
0206	კვების სუბპროდუქტები მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ცხენის, ვირის, ჯორის ან ჯორცხენის, ახა-ლი, შეყინული ან გაყინული
0207	ხორცი და კვების სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პო-ზიციაში მითითებული შინაური ფრინველის, ახალი, შე-ყინული ან გაყინული
0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, შეყინული ან გაყინულიL
0209 00	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული, და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა ხერხით ამოუღებელი, ახალი, შეყინული, გაყინული, დამა-რი-ლებული, მარილწყალში, გამომშრალი ან შებოლილი
0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამა-რილებული, მარილწყალში, გამომშრალი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცის ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან
05 ჯგუფიდან	**ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი**
0502	ღორის ან ტახის ჯაგარი; მაჩვის ან სხვა თმა, საჯაგრისე ნაწარმის წარმოებისათვის გამოსაყენებელი; მათი ნარ-ჩე-ნები
0503 00 000 00	ძუა და მისი ნარჩენები, მათ შორის ქვესადებიანი ტილოს სახით ან მის გარეშე
0504 00 000 00	ცხოველების (თევზების გარდა) ნაწლავები, ბუშტები და კუჭები, მთლიანი ან ნაჭრებად, ახალი, შეყინული, გა-ყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შე-ბოლილი
0505	ტყავები და ფრინველის სხვა ნაწილები ნაკრტენით ან ბუმბულით; ნაკრტენი და ნაკრტენის ნაწილები (მოჭრილი ან მოუჭრელი კიდეებით) და ბუმბული, გაწმენდილი, დე-ზინ-ფიცირებული ან შესანახად დამუშავებული, მაგრამ შემ-დგომი დამუშავების გარეშე; ნაკრტენის და მისი ნაწი-ლების ფხვნილი და ნარჩენები
0510 00 000 00	ამბრა რუხი, თახვის ყაირი, ცივეტა და მუშკი; ნაღველი, მათ შორის გამხმარი; ცხოველური წარმოშობის ჯირკვ-ლები და სხვა პროდუქტები, რომლებიც გამოიყენებიან ფარ-მაცევტული პროდუქტების წარმოებაში, ახალი, შეყი-ნული, გაყინული ან სხვა წესით დამუშავებული ხანმოკლე შენახვისათვის
0511	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი; დავარდნილი ცხოველები 01 ან 03 ჯგუ-ფიდან, საკვებად უვარგისი
41 ჯგუფიდან	**დაუმუშავებელი ტყავები და ტყავეულის ნედლეული (გარდა ნატურალური ბეწვისა) და ტყავი**
4101	დაუმუშავებელი ტყავები და ტყავი მსხვილფეხა პირუტვისა ან ცხენების ოჯახის ცხოველებისა (ახალგატყავებული ან მარილიანი, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა მეთოდით დაკონსერვებული, მაგრამ დაუთრიმლავი, პერ-გა-მენტის სახით გამოუყვანელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე) ბეწვის საფარით ან ბეწვის საფარის გარეშე, სპილოკი ან არა სპილოკი
4102	დაუმუშავებელი ტყავები და ტყავი ცხვრისა ან ბატკნისა (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაც-რიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგ-რამ დაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუყვანელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე) ბეწვის საფარით ან მის გარეშე, სპილოკი ან არა სპილოკი, გარდა მოცემული ჯგუფის 1გ შენიშვნით გამორიცხულებისა
4103	სხვა დაუმუშავებელი ტყავები და ტყავის ნედლეული (ახალგატყავებული ან

	დამარილებული, გამომშრალი, ნაც-რიანი, ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ დაუთ-რიმლავი, პერგამენტის სახით გამოუყვანელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, სპილოკი ან არა სპილოკი, გარდა მოცემული ჯგუფის 1გ შე-ნიშვნით გამორიცხულებისა
43 ჯგუფიდან	**ნატურალური და ხელოვნური ბეწვი, მათი ნაწარმი**
4301	ნედლეული ბეწვეულისა (თავების, კუდების, თათებისა და ბეწვეულის ნაწარმის დასამზადებლად გამოსადეგი სხვა ნაწილებისა და ჩამონაჭრების ჩათვლით), გარდა 4101, 4102 და 4103 სასაქონლო პოზიციების ტყავეულის ნედლეულისა და ტყავებისა
51 ჯგუფიდან	**მატყლი, ცხოველების წმინდა და უხეში ბეწვი; ნართი ცხენის ძუისაგან და ქსოვილი**
5101	მატყლი, კარდო- ან სავარცხლურ-საჩეჩი დამუშავების გა-რეშე
5102	ბეწვი ცხოველებისა, წმინდა ან უხეში, კარდო- ან სავარცხლურ-საჩეჩი დამუშავების გარეშე
95 ჯგუფიდან	**სათამაშოები, თამაშობანი და სპორტული ინვენტარი; მათი ნაწილები და საკუთნოები**
9508	ცირკის, სამხეცის, ზოოპარკის, ატრაქციონის და მოძრავი თეატრის ცხოველები

დანართი N2 *(17.12.2007 N279)*

სეს ესნ კოდი	**დასახელება**
1	**2**
01 ჯგუფი	**ცოცხალი ცხოველები**
0101	ცხენი, ვირი, ჯორი და ჯორცხენა
0102	მსხვილფეხა პირუტყვი
0103	ღორი
0104	ცხვარი და თხა
0105	შინაური ფრინველი ანუ Gალლუს დომესტიცუს (შინაური ქათამი) სახეობის ფრინველები, იხვი, ბატი, ინდაური, ციცარი
0106	სხვა ცხოველები
02 ჯგუფი	**ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები**
0201	ხორცი მსხვილფეხა პირუტყვის, ახალი ან შეყინული
0202	ხორცი მსხვილფეხა პირუტყვის, გაყინული
0203	ხორცი ღორის, ახალი, შეყინული ან გაყინული
0204	ხორცი ცხვრის ან თხის, ახალი, შეყინული ან გაყინული
0205	ხორცი ცხენის, ვირის, ჯორის ან ჯორცხენის, ახალი, შეყინული და გაყინული
0206	კვების სუბპროდუქტები მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ცხენის, ვირის, ჯორის ან ჯორცხენის, ახა-ლი, შეყინული ან გაყინული
0207	ხორცი და კვების სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პო-ზიციაში მითითებული შინაური ფრინველის, ახალი, შე-ყინული ან გაყინული
0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, შეყინული ან გაყინულიL
0209 00	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა ხერხით ამოუღებელი, ახალი, შეყინული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამომშრალი ან შებოლილი
0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარი-ლებული, მარილწყალში,

	გამომშრალი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცის ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან
03 ჯგუფი	**თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები**
0301	ცოცხალი თევზი
0302	თევზი, ახალი ან შეყინული, 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის ფილეს და თევზის სხვა ხორცის გამოკლებით
0303	თევზი გაყინული, 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის ფილესა და თევზის ხორცის გამოკლებით
0304	თევზის ფილე და თევზის სხვა ხორცი (ფარშის ჩათვლით), ახალი, შეყინული ან გაყინული
0305	თევზი, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში: თევზი ცივად ან ცხლად შებოლილი; თევზის ფქვილი წმინდად ან უხეშად ნაფქვავი, გრანულები, საკვებად ვარგისი
0306	კიბოსნაირნი, გამოშიგნული ან გამოუშიგნავი, ცოცხალი, ახალი, შეყინული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მა-რილწყალში; კიბოსნაირნი, გამოუშიგნავი, ორთქლზე ან მდუ-ღარე წყალში მოხარშული, შეყინული ან გაუყინავი, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; თევ-ზის ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები კიბოსნაირებისაგან, საკვებში გამოსაყენებლად ვარგისიL
0307	მოლუსკები, გამოშიგნული ან გამოუშიგნავი, ცოცხალი, ახალი, შეყინული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მა-რილწყალში: წყლის სხვა უხერხემლოები, განსხვავებული კიბოსნაირებისა და მოლუსკებისაგან, ცოცხალი, ახალი, შე-ყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში: ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები წყლის სხვა უხერხემლოებისაგან, საკვებში გამოსაყენებლად ვარგისი
04 ჯგუფი	**რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი**
0401	რძე და ნაღები, შეუსქელებელი და შაქრის ან სხვა დამა-ტკბობელი ნივთიერებების დამატების გარეშე
0403 10	იოგურტი
0405 10	ნაღების კარაქი
0406	ყველი და ხაჭო
0407 00	ფრინველის კვეცრხი, ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული
0408	ფრინველის კვერცხი, უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახა-ლი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, ფორმირებული, გაყინული ან სხვა სახით დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
0409 00 000 00	ნატურალური თაფლი
05 ჯგუფიდან	**ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელ**
0502	ღორის ან ტახის ჯაგარი; მაჩვის ან სხვა თმა, საჯაგრისე ნაწარმის წარმოებისათვის გამოსაყენებელი; მათი ნარჩენები
0503 00 000 00	ძუა და მისი ნარჩენები, მათ შორის ქვესადებიანი ტილოს სახით ან მის გარეშე
0504 00 000 00	ცხოველების (თევზების გარდა) ნაწლავები, ბუშტები და კუჭები, მთლიანი ან ნაჭრებად, ახალი, შეყინული, გაყი-ნული, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი
0505	ტყავები და ფრინველის სხვა ნაწილები ნაკრტენით ან ბუმბულით; ნაკრტენი და ნაკრტენის ნაწილები (მოჭრილი ან მოუჭრელი კიდეებით) და ბუმბული,

	გაწმენდილი, დეზინ-ფიცირებული ან შესანახად დამუშავებული, მაგრამ შემ-დგომი დამუშავების გარეშე; ნაკრტენის და მისი ნაწილების ფხვნილი და ნარჩენები
0510 00 000 00	ამბრა, რუხი, თახვის ყაირი, ცივეტა და მუშკი; ცოფის ბუზი, ნაღველი, მათ შორის გამხმარი; ცხოველური წარმოშობის ჯირკვლები და სხვა პროდუქტები, რომლებიც გამოი-ყენებიან ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებაში, ახალი, შეყინული, გაყინული ან სხვა წესით დამუშავებული ხან-მოკლე შენახვისათვის
0511	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი; დავარდნილი ცხოველები 01 ან 03 ჯგუფიდან, საკვებად უვარგისი
10 ჯგუფი	**პურეული მარცვლოვნები**
1001	ხორბალი და მესლინი (საფურაჟე)
1002 00 000 00	ჭვავი (საფურაჟე)
1003 00	ქერი (საფურაჟე)
1004 00 000 00	შვრია (საფურაჟე)
1005	სიმინდი (საფურაჟე)
1006	ბრინჯი (საფურაჟე)
1007 00	სორგო მარცვლოვანი (საფურაჟე)
1008	წიწიბურა, ფეტვი და თესლი ჩიტიფესვასი; სხვა მარცვლეული (საფურაჟე)
12 ჯგუფიდან	**ზეთოვანი მცენარეების თესლი და ნაყოფი; სხვა თესლი, ნაყოფი და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცე-ნარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი**
1213 00 000 00	ჩალა და ბზე მარცვლეულისა, დაუმუშავებელი, დაქუც-მაცებული ან დაუქუცმაცებელი, გალეწილი ან გაულეწავი, დაპრესილი ან გრანულების ფორმით
1214	თალგამურა, ჭარხალი საფოთლე (მანგოლდი), პირუტყვის საკვები ძირნაყოფები, თივა, იონჯა, სამყურა, ესპარცეტი, პირუტყვის საკვები კომბოსტო, ხანჭკოლა, ცერცველა და ანალოგიური საკვები პროდუქტები, გრანულირებული ან არა-გრანულირებული
16 ჯგუფი	**მზა პროდუქტები ხორცის, თევზის ან კიბოსნაირების, მოლუსკების ან ზღვის სხვა უხერხემლოებისაგან**
1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; კვების მზა პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე
1602	მზა ან დაკონსერვებული პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან, სხვა
1604	თევზი, მზა ან დაკონსერვებული; ხიზილალა ზუთხის-ნაი-რებისა (შავი ხიზილალა) და ხიზალალის შემცვლელები, დამზადებული სხვა თევზის ქვირითის მარცვლებისაგან
23 ჯგუფიდან	**კვების მრეწველობის ნაშთები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისათვის**
2301	ფქვილი, წმინდად და უხეშად დაფქული და გრანულები ხორცის ან ხორცის სუპროდუქტებისაგან, თევზის ან კიბოს-ნაირებისგან, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემ-ლოებისგან, საკვებში გამოსაყენებლად უვარგისი; ხო-ხო-ზიკები
2302	ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები, მიღებული პურეული მარცვლოვანების ან პარკოსანი კულტურების მარცვლის დაფქვის, გაცრის ან სხვა მეთოდით დამუშავების შედაგად, არაგრანულირებული ან გრანულირებული
30 ჯგუფიდან	**ფარმაცევტული პროდუქცია**
3002	სისხლი ადამიანისა; სისხლი ცხოველებისა, მომზადებული თერაპიული, პროფილაქტიკური ან დიაგნოსტიკური მიზნით გამოსაყენებლად; იმუნური შრატები (ანტიშრატები) და სის-ხლის სხვა ფრაქციები და მოდიფიცირებული

	იმუნო-ლოგიური პროდუქტები, მათ შორის მიღებული ბიოტექ-ნოლოგიური გზით; ვაქცინები, ტოქსინები, მიკროორ-განიზმების კულტურები (საფუვრების გარდა) და ანალო-გიური პროდუქტები (3002 10 950, 3002 20 000 და 3002 90 100 ქვესუბპოზიციის საქონლის გარდა, მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი)
41 ჯგუფიდან	**დაუმუშავებელი ტყავები და ტყავეულის ნედლეული (გარდა ნატურალური ბეწვისა) და ტყავი**
4101	დაუმუშავებელი ტყავები და ტყავი მსხვილფეხა პირუტყვისა ან ცხენების ოჯახის ცხოველებისა (ახალგატყავებული ან მარილიანი, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა მეთოდით დაკონსერვებული, მაგრამ დაუთრიმლავი, პერგა-მენტის სახით გამოუყვანელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე) ბეწვის საფარით ან ბეწვის საფარის გარეშე, სპილოკი ან არა სპილოკი
4102	დაუმუშავებელი ტყავები და ტყავი ცხვრისა ან ბატკნისა (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაც-რიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ დაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუყვანელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე) ბეწვის საფარით ან მის გარეშე, სპილოკი ან არა სპილოკი, გარდა მოცემული ჯგუფის $1_{გ}$ შენიშვნით გამორიცხულებისა
4103	სხვა დაუმუშავებელი ტყავები და ტყავის ნედლეული (ახალ-გატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ დაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუყვანელი ან შემდგომი დამუ--შავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, სპილოკი ან არა სპილოკი, გარდა მოცემული ჯგუფის $1_{გ}$ შენიშვნით გამორიცხულებისა
43 ჯგუფიდან	**ნატურალური და ხელოვნური ბეწვი, მათი ნაწარმი**
4301	ნედლეული ბეწვეულისა (თავების, კუდების, თათებისა და ბეწვეულის ნაწარმის დასამზადებლად გამოსადეგი სხვა ნაწილებისა და ჩამონაჭრების ჩათვლით), გარდა 4101, 4102 და 4103 სასაქონლო პოზიციების ტყავეულის ნედლეულისა და ტყავებისა
51 ჯგუფიდან	**მატყლი, ცხოველების წმინდა ან უხეში ბეწვი; ნართი ცხენის ძუისაგან და ქსოვილი**
5101	მატყლი, კარდო- ან სავარცხლურ-საჩეჩი დამუშავების გა-რეშე
5102	ბეწვი ცხოველებისა, წმინდა ან უხეში, კარდო- ან სავარცხლურ-საჩეჩი დამუშავების გარეშე
95 ჯგუფიდან	**სათამაშოები, თამაშობანი და სპორტული ინვენტარი; მათი ნაწილები და საკუთნოები**
9508	ცირკის, სამხეცის, ზოოპარკის, ატრაქციონის და მოძრავი თეატრის ცხოველები

დანართი N3 *(17.12.2007 N279)*

სეს ესნ კოდი	**დასახელება**
1	2
ჯგუფი 06. ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები, ფესვები და მცენარის სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი	
0601	ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერბოლქვები, ფესურები, განშტოებულის ჩათვლით, ვეგეტაციური სიმშვიდის, ვეგეტაციის ან ყვავილობის მდგომარეობაში; ვარდკაჭაჭას მცე-ნარეები და ფესვები, 1212 სასაქონლო პოზიციის ფესვების გარ-და
0602	დანარჩენი ცოცხალი მცენარეები (მათი ფესვების ჩათვლით), კალ-მები და

	გადანაწვენები; სოკოს მიცელიუმი
ჯგუფი 07. ბოსტნეული და ზოგიერთი საკვები ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები	
0701	კარტოფილი, ახალი
0703	ხახვი, თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
0713	პარკოსანი ბოსტნეული, ხმელი, დაჩურჩული, სათესლე, ქერქი-სა-გან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრე-ვე-ლი
0714	მანიჰოტი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი, ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირ-ნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღა-ლი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად
ჯგუფი 08. საჭმელი ხილი და კაკალი. ციტრუსოვანებისა ან ნესვების კულტურების ქერქი და კანი	
0801	კაკალი ქოქოსის, ბარაზილიური და კეშიუ, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე
0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნა-ჭუჭ--გაუცლელი, კანით ან კანის გარეშე
0803 00	ბანანები, პლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი
0804	ფინიკი, ლეღვი, ანანასი, ავოკადო, გუაიავა, მანგო და მანგო-ს-ტანი ანუ გარცინია, ახალი ან ხმელი
0805	ციტრუსები, ახალი ან ხმელი
0806	ყურძენი, ახალი ან ხმელი
0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი
ჯგუფი 09. ყავა, ჩაი, მატე, ანუ პარაგვაის ჩაი და სანელებლები	
0901-დან	ყავა მოუხალავი, ყავის ჩენჩო და ყავის მარცვლის გარსი
ჯგუფი 10. მარცვლოვანები	
1001	ხორბალი და მესლინი
1002 00 000 00	ჭვავი
1003 00	ქერი
1004 00 000 00	შვრია
1005	სიმინდი
1007 00	სორგო მარცვლოვანი
1008	წიწიბურა, ფეტვი და თესლი ჩიტიფესვასი; დანარჩენი მარცვლეული
ჯგუფი 11. ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ინულინი; ხორბლის წებოვანა.	
1107	ალაო მოუხალავი
ჯგუფი 12. ზეთოვანი თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები; ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი	
1201 00	სოიის მარცვალი, დაუმსხვრეველი
1204 00	თესლი სელისა, დაუმსხვრეველი
1205	თესლი რაფსისა, ანუ კოლზისა, დაუმსხვრეველი
1206 00	თესლი მზესუმზირასა, დაუმსხვრეველი
1207	თესლი და ნაყოფები სხვა ზეთოვანი კულტურებისა, დაუმსხვრეველი
1209	თესლი, ნაყოფი და სპორები სათესად
ჯგუფი 18. კაკაო და პროდუქტები მისგან	
1801 00 000 00	კაკაოს მარცვალი, მთელი, ნედლი
ჯგუფი 44. მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი	

4401	ნაფოტი ან ბურბუშელა; ნახერხი და ხის ნარჩენები
4403	ხე-ტყის მასალა, დაუმუშავებელი, ქერქიანი ან უქერქო, ან ნაქურთვნი ან ტლანქად დაძელვილი ან დაძელვის გარეშე (44 10-ის გარდა)
4404	მერქანი საკასრე; მორები დაპობილი; ხის ხიმინჯები და სარები და ბოძები, წაწვეტებული, მაგრამ სიგრძივ დაუხერხავი; ხე-ტყის მასალა ტლანქად გათლილი, მაგრამ გაუჩარხავი, გაუ-ღუნავი ან სხვა წესით დაუმუშავებელი, გამოსაყენებელი ხელ-ჯოხების, ქოლგების, ინსტრუმენტების სახელურების ან ანა-ლოგიური ნაწარმის დასამზადებლად; მერქანი ქერქ-გაც-ლილი და ანალოგიური
4406 10 000 00	ხის შპალები რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის, გაუჟღენთავი
4407	ხე-ტყის მასალა გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, შრეებად დაპობილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახე-ხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე, შეერთების მქონე ან არმქონე, სისქით 6 მმ-ზე მეტი
კოდის გარეშე	ნიადაგი ნებისმიერი სახით
კოდის გარეშე	ცოცხალი მწერები სამეცნიერო მიზნებისათვის
კოდის გარეშე	ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების ციცხალი კულტურები, ცოცხალი ტკიპები და ნემატოდები სამეცნიერო მიზნებისათვის